

გიორგი გოგოლავალიძე

-ე და -ა სუფიციანი მეორე კავშირებითის შესახებ  
ახალ ჩართულები

I. მეორე კავშირებითს ახალ ქართულში სამი სუფიქსი აწარმოებს: -ა, -ე, -ო. ცნობილია, რომ -თ სუფიქსს დაირთავს ის ზმნები, რომლებიც ორისტს -ე სუფიქსით იწარმოებს. თუ ამ შემთხვევაში აშკარაა ფორმობრივი მიმართება ორისტსა და II კავშირებითს შორის, ამას ვერ ვიტყვით კავშირებითის -ე და -ა სუფიქსთა მიმართ. როცა აორისტი უნიშნოა (resp. -ი ელემენტიანი) — მოვყალ(-ი) ტიპის ზმნებში, ანდა -ი სუფიქსიანი — გავთბი, დავბერდი ტიპის ზმნებში, მეორე კავშირებითის მაწარმოებლად შეიძლება გვქონდეს ან -ე, ან -ა. არის შემთხვევები, როცა აორისტის ერთგვარ წარმოებას მეორე კავშირებითის სხვადასხვაგვარი წარმოება შეეფარდება:

აორისტი  
გავ-ჭერ-(ი)  
გავი-ჭერ-(ი)

II კავშირებითი  
გავ-ჭრ-ა  
გავი-ჭრ-ე

მსგავსი მიგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

უნიშნო (resp. -ი ელემენტიანი) და -ი სუფიქსიანი აორისტის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნები ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს: ყველა მათგანი მეორე კავშირებითს -ა სუფიქსით იწარმოებს, გამონაკლისს ქმნის ერთადერთი ზმნა — მივც-ე (არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე): გაცრ-ა-ს, გაჭრ-ა-ს, დაწვ-ა-ს, დაბნ-ა-ს, აღძრ-ა-ს, ქნ-ა-ს, დააბ-ა-ს, დაფქვ-ა-ს...

განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიდგენს ვნებითი გვარის ზმნები: უნიშნო და დონიანები ყველა შემთხვევაში -ი სუფიქსს დაირთავენ II კავშირებითში: გავთბ-ე, გავშრ-ე, დავბნ-ე... დავბერდ-ე, ავშენდ-ე, გავ-შავდ-ე... მერყეობა გვაქვს პრეფიქსიან ვნებითებში. ძირითადად, როცა ორისტს პრეფიქსიანი ვნებითები -ი სუფიქსით იწარმოებენ (ან უნიშნონი არიან), II კავშირებითში პარალელური ფორმები შეიძლება შეგვხდეს: გაიცრ-ა-ს//გაიცრ-ე-ს, აღიძრ-ა-ს//აღიძრ-ე-ს, იქნ-ე-ს//იქნ-ა-ს, დაიწვ-ა-ს//დაიწვ-ე-ს, დაეხსნ-ა-ს//დაეხსნ-ე-ს, დაებ-ა-ს//დაებ-ე-ს, შემოერტყ-ა-ს//შემოერტყ-ე-ს, დაერქვ-ა-ს//დაერქვ-ე-ს...

6. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

ჩვენი მსჯელობის საგანი სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა იქნება. გვაინტერესებს: რა არის მიზეზი პარალელურ ფორმათა გაჩენისა, და უპირატესობა რომელ მათგანს — ეს სუფიქსიანს თუ ა სუფიქსიანს — უნდა მიენიჭოს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას რამდენიმე საკითხის გათვალისწინება გავვიადვილებს.

II. სამეცნიერო ლიტერატურაში საყმაოდ დაწვრილებითაა განხილული II კავშირებითში - ეს სუფიქსის გამოვლენის შემთხვევები. აღწერა მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით ხდება. ჩვენც ამჯერად ცალ-ცალქმა განვიხილავთ ცალქმულ მორფოლოგიური ჯგუფებს, სადაც II კავშირებითში - ეს სუფიქსი გვაქვს.

1. უნიშნო ვნებითები უგამონაკლისოდ - ეს სუფიქსით იწარმოებენ II კავშირებითს:

გავ-თბ-ე	გავ-თბ-ე-თ
გა-თბ-ე	გა-თბ-ე-თ
გა-თბ-ე-ს	გა-თბ-ნ-ე-ნ

ასევე: და-ღნ-ე-ს, გა-ქრ-ე-ს, და-ჟენ-ე-ს, გა-შრ-ე-ს, გა-ხმ-ე-ს, გა-ძლ-ე-ს, გამო-ცვ-ე-ს, და-ცხრ-ე-ს, და-ლბ-ე-ს, და-ღგ-ე-ს, და-ლპ-ე-ს, და-რჩ-ე-ს...

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ამ ჯგუფის ზმნებთან II კავშირებითის წარმოების თვალსაზრისით მყარი ვითარებაა.

2. დონიანი ვნებითებიც ასევე - ეს სუფიქსს დაირთავთ:

დავ-ბერ-დ-ე	დავ-ბერ-დ-ე-თ
და-ბერ-დ-ე	და-ბერ-დ-ე-თ
და-ბერ-დ-ე-ს	და-ბერ-დ-ნ-ე-ნ

ასევე: ა-შენლ-ე-ს, გა-კეთ-დ-ე-ს, და-სახლ-დ-ე-ს და სხვა მრავალი.

3. - ეს სუფიქსით II კავშირებითს აგრეთვე პრეფიქსიანზებითის ერთი ნაწილი:

გავ-ი-ქც-ე	გავ-ი-ქც-ე-თ
გა-ი-ქც-ე	გა-ი-ქც-ე-თ
გა-ი-ქც-ე-ს	გა-ი-ქც-ნ-ე-ნ

ასევე: და-ი-ბნ-ე-ს და და-ე-ბნ-ე-ს, გა-ი-ხსნ-ე-ს და გა-ე-ხსნ-ე-ს, გა-ი-ცრ-ე-ს და გა-ე-ცრ-ე-ს...

4. და, როგორც აღნიშნავთ, ერთადერთი გარდამავალი ზმნა:

მივ-ც-ე	მივ-ც-ე-თ
მის-ც-ე	მის-ც-ე-თ
მის-ც-ე-ს	მის-ც-ე-ნ

შემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში ერთი ფაქტია ღირსსაცნობი: ყველგან საყრდენი მორფება! რელუცირებულია და გაუჩინარებულია ეს ხმოვანი. პრეფიქსიან ვნებითებსა და მისცეს ზმნაში საყრდენი მორფება სრული სახით წარმოდგენილია ორისტის I და II პირის ფორმებში: გავი-შეც, დავი-ბენ, დავე-ხსენ, გავი-ჭერ... მივ-უც. ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებს უნიშნო ვნებითთა ერთი ნაწილი: დავ-თვერ, გავ-ძეხ, დავ-დეჭ, დავ-წივ, გავ-ძვერ, მივ-უვ... მართალია, ამ ჯგუფის ზმნათა ერთ ნაწილში ხმოვანი არა ჩანს ახალ ქართულში, მაგრამ შენახული იყო ძელ ქართულში: განვ-ტოც (გავთბი), განვ-ჟიმ (გავქმი), განვ-ჭერ (გავჭრი) შევაცედ (შევცდი)... ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ხმოვანის აღლენა არ ხერხდება არც ახალი და არც ძელი ქართული ენის დონეზე, საქმის ვითარებას არ უნდა ცვლიდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „თბება“ ტიპის ყველა ზმნაში ისტორიულად ეს ხმოვანი ივარაუდება, რასაც მზარს უპერს მონათქსავე ენათა ჩვენებაც<sup>2</sup>. საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით ვნებითის და სუფიქსის თავდაპირველ სახედ -ედ მიიჩნევა<sup>3</sup>. ექვემდებარება არ გავიხსენოთ ისიც, რომ ძელ ქართულში -ე სუფიქსს დაირთავდა მეორე კავშირებითში -ნ (-ენ) სუფიქსიანი ვნებითიც:

განვ-კაც-ნ-ე

განვ-კაც-ნ-ე-თ

განვ-კაც-ნ-ე

განვ-კაც-ნ-ე-თ

გან-კაც-ნ-ე-ს

გან-კაც-ნ-ე-ნ

ღირსსაცნობია ისიც, რომ ძელ ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის „ნ-ს შემდეგ კონვენქტივ მეორეში -ა და -ო-ს ნაცვლად -ე ჩნდება... -ე კი უცვლელად რჩება“<sup>4</sup>. მართალია, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ახალ ქართულში იღარ აღინიშნება, მაგრამ შესაბამისი ვნებითის ფორმებმა დღემდე შემოგვინახა ნ (-ენ) სუფიქსიანი ფორმები:

<sup>1</sup> საყრდენ ვუწოდებთ იმ მორფებს, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ჩვენთვის საინტერესო, ამ შემთხვევაში, კავშირებითი. ნაწილობრივ განვითარებული.

<sup>2</sup> ვ. თო ფურია, ფონტიური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ტუმ. X, 1930, გვ. 300.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: თხზ. ტ. I, თბილისი, 1957; ვ. თო ფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II: ენიმქის მოამბე, V—VI, 1940; ფ. ერთეული შვილი, ღ//ნ/ენ ვნებითობის სუფიქსთა გენეზისი: თუშ, ტ. 93, 1960; გ. მაჭარია რიგინი, ვნებითობის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე, ენისა და ლიტ-რის სერია, № 1, 1973.

<sup>4</sup> ა. ჩ. ჩიჭაბავა, რათ არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასტული მორფოლოგიური ობიექტი ძელ ქართულში? ტუმ. 9, 1929, გვ. 116.

თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცნეთ სახელითა და ღიღებით (ილია).

დედოფალო, შენი ჭირიმე, ჩქარა ავიყარნეთ აქედან (ი. გოგებ.).

რაჭამს სახლში ხმა მიწყდება, გავიპარნეთ (ყ. გაბ.).

ცხადია, უნდა ავიბარგნეთ აქედან (ნ. ზოუკ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: მეორე კავშირებითში - ე სუფიქსი გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა საყრდენ მორფემაში - ე ხმოვანი არის გაუჩინარებული. ახალი ქართულისათვის წესი პირუუ არ მოქმედებს: ყველგან, სადაც საყრდენ მორფემაში - ე ხმოვანი არის გაუჩინარებული, არა გვაქვს II კავშირებითის - ე სუფიქსიანი წარმოება; მხედველობაში გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნები: შევ-ქნ-ა, ვ-შვ-ა, ვი-ხსნ-ა, გავ-ჭრ-ა, გავ-ცრ-ა... ამ ზმნათა საყრდენ ფუძისეულ მორფემაში - ე ხმოვანი აღდგება: ქმენ, შევ, ხსენ, ჭერ, ცერ... და, როგორც ვხედავთ, ისევე როგორც უნიშნო (resp. -ი ელემენტიანი) აორისტის მქონე ყველა ზმნა (გარდა მისცა ზმნისა), ესენიც II კავშირებითს - ა სუფიქსით იწარმოებენ.

ამრიგად - ა სუფიქსი გვაქვს კავშირებითის მაწარმოებლად ა) უნიშნო (resp. -ი ელემენტიანი) აორისტის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნებთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სტრუქტურისაა საყრდენი მორფემა: შევ-ძარ-ი — შევ-კრ-ა, მოვ-კალ-ი — მოვ-კლ-ა, დავ-ფქვ-ი — დავ-ფქვ-ა, დავა-ბ-ი — დავი-ბ-ა, ჩივ-ხს-ი — ჩივ-ხს-ა და სხვა. ბ) პრეფიქსიან ვნებითებთან: დაი-წვ-ა-ს, დაი-ფქვ-ა-ს, დაე-ბ-ა-ს, შემოე-რტყ-ა-ს, დაე-რქვ-ა-ს....

მდგომარეობას აორთულებს ის, რომ, როგორც აღვნიშნეთ, პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში პარალელურად ვხვდება როგორც -ე, ასევე -ა სუფიქსიანი წარმოება მეორე კავშირებითისა: გადაიჭრ-ე-ს//გადაიჭრ-ა-ს, გაიცრ-ე-ს//გაიცრ-ა-ს, დაიწვ-ა-ს//დაიწვ-ე-ს, ალიძრ-ა-ს//ალიძრ-ე-ს, იქნ-ე-ს//იქნ-ა-ს... ფორმათა პარალელიზმი არ დასტურდება ამ ზმნათა აორისტში, არც შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნათა მეორე კავშირებითში.

მოქმედებითი და სათანადო პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები აორისტში წარმოების თვალსაზრისით სხვაობას არ იძლევა: დავ-წვ-ი და დავი-წვ-ი, დავ-ძარ-ი და დავი-ძარ-ი, დავა-ბ-ი და დავე-ბ-ი... II კავშირებითში კი, როგორც უნახეთ, არსებითი ხასიათის განსხვავებაა.

ამგვარად, ზმნები, რომლებიც მეორე კავშირებითს -ე და -ა სუფიქსებით იწარმოებენ, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) რომლებიც მხოლოდ - ე სუფიქსს დაირთავენ: უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითები, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის -ენ ( $\rightarrow$ ) სუფიქსიანი ფორმები და მისცემა ზმნა;

ბ) რომლებიც მხოლოდ ა სუფიქსით იწარმოებენ II კავშირებითს:

უნიშნო (resp. -ი ელემენტიანი) ორისტის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნები (გარდა მიხცეს ზმნისა);

გ) ზმნები, რომლებიც მეორე კავშირებითის ფორმებს პარალელურად -ე და -ა სუფიქსებით იწარმოებენ: უნიშნო (resp. -ი ელემენტიანი) ორისტის მქონე პრეფიქსიანი ვნებითები.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ მეორე და მესამე შემთხვევაში მდგომარეობა ძირითადად მეორეულია. აქ სისტემის ჩამოყალიბების პროცესთან, და ზოგჯერ უკვე ჩამოყალიბებულ ვითარებასთან, გვაქვს საქმე.

III. ძველ ქართულში უნიშნო ორისტის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი განსახილველი ნაკვთის ფორმებს -ა სუფიქსით იწარმოებდა:

სამართოლი წარმართთა მან მიუთხას (მ. DE 12, 18),

პირელად შეკრას ძლიერი იგი (მ. 12, 29).

არა-მე უპყრისა და ამონიტებას იგი (მ. DE 12, 11).

ხოლო ბზო იგი დაწვას ცეცხლითა უშრეტითა (მ. 3, 12).

რა კვამოთ, ანუ რამ კსუათ (მ. 6, 31).

და მას კამა შინა კვრეუა მათ (მ. DE 7, 23).

ვთქუათ თუ: ზეცილ იყო, გურეუას: რად არა გრწმენა მისი (მ. C 21, 25).

ალგეს სახლსა უფალი და დაკვშას კარი (ლ. 13, 25) და სხვა.

მაგრამ ამავე ჯგუფის ზმნათა მეორე ნაწილი -ე სუფიქსს დაირთავს:

აპა ქალწული მიუდგეს და შვეს ძმ (მ. 1, 23).

რამეთუ მან იჯსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან (მ. 1, 21).

სადა-იგი მლილმან, მჭამელმან განრყუნეს, და სადა შპარავთა დათხარონ და განიბარონ იგი (მ. DE 6, 19).

თუ ენებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალვარ (მ. 17, 4),

რამთა დაიცვეს იგი ღმერთმან, ვითარცა ალსასრულამდე

(მამ. ცხ. 167, 30).

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, შენიშნულია, მაგრამ საღამ საღავოდ გვეჩვენება ფაქტის კვალიფიკაცია; ი. იმნაიშვილის აზრით, „ახალ ქართულში გარდამავალ ზმნათაგან ერთადერთი შემოვგრჩა, რომელსაც მეორე კავშირებითის ნიშნად -ე მოეპოვება: მიკ-ს-ც-ე, მი-ს-ც-ე, მი-ს-ც-ე-ს. ძველ ქართულში ასეთ ზმნათა რაოდენობა ბევრი იყო. -ე ჰქონდა ნ-ზე ფუძედაბოლოებულ ზმნებს, რომლებიც წყვეტილს უნიშნოდ აწარმოებდნენ: რამთა ალვაგზნე, ვაგრძნე, დავმუნე, ვამ-

<sup>5</sup> ა. ჩ. ჩ. ჩ. ა. გ. ა., რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასტული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, გვ. 117; ა. შ. ნ. ნ. ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 99; ბ. ნ. თ. ა. ე, ღრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში, საბისერტაციით ნაშრომი, 1955; ბ. კ. ტ. ი. ნ. ვ. ი, კილოს კატეგორია ქართულ ენაში: თელავის სახ. პედ. ინსტ. შრომები, III, თბილისი, 1959...

ცნე, ვიქმნე, მივაყრდნე, განვჭრწნე, ვიკსნე, ვიგმნე... - ე კავშირებითის საწარმოებელი ძეელი ნიშანია. მისი შემონახვისათვის ამ ზმნებში ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ ნ ქმნიდა პირდაპირი ობიექტის მრავ-ლობითობის ასოციაციას, რომელთანაც კავშირებითის ნიშანად მუდამ - ე იხმარებოდა... ნ ფუძის ბოლოს გადამწერს აგონებს ობიექტის მრავლობი-თობის სუფიქსს, ამიტომ კავშირებითის ძევლ ნიშანს უცვლელად ტო-ვებს<sup>6</sup> (ხაზი ჩვენია — გ. გ.). ეს თვალსაზრისი შემდგომშიც იქნა განმეორე-ბული და გავრცობილი: „მიუთითებენ, რომ ზემოხსენებული ჯგუფის ზმნებ-ში ე ნიშნის შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ მწკრივის ნიშნის წინ მდგომი ნ ქმნიდა გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მაჩვენებელი ნ (—ენ) სუფიქსის ილუზიას: ხსენებული სუფიქსის შემდეგ კი აუცილებელი იყო ე დაბოლოების გა-მოყენება. - ე მწკრივის ნიშნის გამოყენების არე გაფართოებულია და იგი მოიცავს სხვა ზმნებსაც, განსაკუთრებით კი იმათ, რომელთა ფუძეც ვ-ზე მთავრდება“<sup>7</sup> (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

წარმოდგენილი მსჯელობიდან ივარაუდება, რომ საანალიზო ფორმე-ბი იმ ვითარების ანარექლია, როცა კავშირებითი II მხოლოდ - ე სუფიქ-სით იწარმოებოდა, რაც, ისევე როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლო-ბითობის ნ(—ენ) სუფიქსის ასოციაცია თუ ილუზია, ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება. უკანასკნელი თვალსაზრისის უპირველეს კონტრარგუმენტად სწორედ არა ნ სონორზე დაბოლოებულ ფუძეებთან კავშირებითის - ე სუფიქსის გამოვლენა მიგვაჩნია: რამთა გშვ-ე, განრცხ-ე-ს, შთავიჭრ-ე, დავიცვ-ე, გავ-ძლ-ე და სხვა.

ზემოწარმოდგენილმა მასალამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ძეელ ქართულში უნიშნო აორისტის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნები მეო-რე კავშირებით იწარმოებდნენ ჩვეულებრივ როგორც - ა, ასევე - ე სუ-ფიქსით. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ე სუ-ფიქსს დაირთავდა ის ზმნები, რომელთა ფუძისეულ საყრდენ მორფე-მაში ე ხმოვანია გაუჩინარებული (შვ, ქსენ, რუზენ, ქმენ, ცივ, გვენ, მყენ, მცენ, ყრდენ, რწმენ, ჭმენ, ჭერ, ცერ, რეცხ, ძელ), ხოლო როცა სა-ყრდენ მორფემაში ე ხმოვანი არ ივარაუდება, სხვა ხმოვანია რედუცირე-ბული ანდა უხმოვნოა, II კავშირებითის მაწარმოებლად - ა სუფიქსი გვაქვს (თხარ, კარ, კალ, კაშ, თქუ, წუ, ცუ, სხ...).

მიუთითებენ, რომ განხილულ ზმნათა „ვნებითებიც ხსენებულ კანო-

<sup>6</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 184.  
<sup>7</sup> გ. იმნაიშვილი, მამათა ცხორებამ, 1975, გვ. 419.

ნებს ემორჩილებოდა<sup>18</sup>. ზმნები, რომელთა საყრდენი ფუძისეული მორცემის ე ხმოვანი მონაცელეობდა ნულთან, ვნებითი გვარის II კავშირებითის ფორმებს ასევე - ე სუფიქსით იწარმოებდა:

რამთა აწევ აღ გზზნეს (ლ. E 12, 49).

რამეთუ რომელი-იგი მისან იშვეს (მ. 1, 20).

ხოლო ჩინებული იგი არა ლის იქმნეს (მ. C 22, 6).

რამთამცა დასაჭა სოფელი, არამედ რამთა იქსნეს სოფელი მის გამო (ი. C 3, 17).

და რომელი ყურა გესმეს თქუნ, ქადაგე ერდოთა ზედა (მ. 10, 27).

ყოველი წერგი... ძირითურთ აღიფხურეს (მ. DE 15, 13).

ხოლო კოჩცი იგი რამ განხაწნეს (ექს. დღ. 92, 9).

არცა განირყუნეს (იონ. 37, 14).

ვნებითი გვარის ზმნები, რომელთა საყრდენ ფუძისეულ მორცემაში ნულთან მონაცელე ე ხმოვანი არ დასტურდება, მეორე კავშირებით - ა სუფიქსით იწარმოებს:

სადაცა ქადაგოს სახარებამ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუას (მ. C 16, 13).

მაშინ მოუტევა მათ ბარაბათ, ხოლო იესუს შოლტითა პსკა და

მისცა მათ, რამთა ჯუარს-ე ცუას (მ. DE 27, 26).

სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ერქუას ყოველთაგან წარმართთა (მრ. DE 11, 17).

გარნა თუ გარეშე ბუნებისა აღიძრას იგი (ექს. დღ. 12, 26).

გინა თუ მოიწუას ფიჭუარი და მუხნარი (იქვე, 58, 37).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში უნიშნო აორისტის მქონე ზმნები II კავშირებითის წარმოების თვალსაჩრიისით გვარის მიხედვით სხვაობას არ იძლევიან; წარმოების პრინციპი საერთოა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებისათვის. თუ იმასაც გაიხსნებთ, რომ -ე სუფიქსს დაირთავენ აგრეთვე უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითები, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნ (←ნ) სუფიქსის შემცველი ზმნები, შეიძლება ძველი ქართულისათვის წესი ამგვარად ჩამოყალიბდეს: უნიშნო აორისტის მქონე ზმნებში II კავშირებითის -ე სუფიქსი გამოვლინდება იქ, საღაც საყრდენი მორცემისეული ე ხმოვანია გაუჩინარებული; სხვა შემთხვევაში ამ ნაკვთის მაწარმოებლად -ა სუფიქსი გვექნება.

IV. ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ დღევანდელი ვთთარება უნიშნო (resp. -ი ელემენტიანი) აორისტის მქონე ზმნათა მეორე კავშირებითის წარმოებისა მეორეულია. ამჟამად ამ ტიპის მოქმედებითი გვარის ზმნებში განსახილველი ნაკვთის წარმოებისას ანგარიში არ ეწევა საყრდენი ფუძისეული მორცემის სტრუქტურას. სხვაგვარად, მიუხედავად იმისა, საყრდენ ძირეულ მორცემაში ე ხმოვანია გაუჩინარებული თუ არა, ნაკვთის მაწარმოებლად -ა სუფიქსი გვაქვს (გარდა მისცეს ზმნისა). ამ ფორმანტის უნიფიკაცია მოქმედებითი გვარის ზმნებთან თითქმის დამთავ-

<sup>18</sup> ი. იშნაიშვილი, ქართული ენის იკორიული ქრესტომათია, II, გვ. 184.

რებულია. ეს ტენდენცია კილოებში უფრო შორს არის წასული. მაგ.: ხევ-სურულმა დიალექტში ყველა შემთხვევაში - ა სუფიქსი გაბატონა. ხევ-სურულმა II კავშირებითის მაწარმოებლად სხვა ფორმანტი არ იცის.

მდგომარეობა უფრო რთულია ვნებითი გვარის ზმნათა შემთხვევაში. აქ ფორმათა პარალელიზმი იჩინა თავი; როგორც მივუთითებდით, ერთი და იგივე ზმნა მეორე კავშირებითს იწარმოებს როგორც - ე, ასევე - ა სუ-ფიქსით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, თუ მოქმედებითი გვარის შემთხვევაში უნიფორმაციის ტენდენციას დაეჭვემდებარა - ე სუფიქსიანი წარმოება, ხოლო - ა სუფიქსიან ფორმებს ცვლილება არ განუცდიათ ამ თვალსაზრისით, ვნებითი გვარის შემთხვევაში პარალელური ფორმები გაიჩინა როგორც - ე სუფიქსიანმა წარმოებამ, ისე - ა სუფიქსიანმა წარმოებამ, ე. ი. არის შემთხვევები, როცა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში II კავშირებითის - ე სუფიქსიან ფორმას უჩნდება პარალელური ვარიანტი, - ა სუფიქსით წარმოებული და პირიქით, - ა სუფიქსიან ფორმას უჩნდება პარალელური ვარიანტი, - ე სუფიქსით წარმოებული:

ა) იქნეს//იქნას, იშვეს//იშვას, მიეძღვნეს//მიეძღვნას...

ბ) დაიწვას//დაიწვეს, ალიძრას//ალიძრეს, შემოერტყას//შემოერტყეს...

თითქოსდა მოსალოდნელი იყო, რომ, რადგან მოქმედებითში გაუნიფიცირდა ა ფორმანტი, აქ ე ფორმანტი გაბატონებულიყო (თუ გვარის ფაქტორი დაედებოდა საფუძვლად მაწარმოებელთა გადანაწილებას), ანდა აქაც - ა სუფიქსს დაეჭირა - ე - ს ადგილი, როგორც ეს მოქმედებითი გვარის შემთხვევაში მოხდა; მაგრამ, როგორც კხედავთ, ასე არ არის.

დღესდღეობით პარალელური ფორმები გავრცელების თვალსაზრისით უმეტეს შემთხვევაში არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უპირატესობა რომელიმე მათგანს მივანიჭოთ: ალიძრას და ალიძრეს, იქნეს და იქნას, გადაიჭრას და გადაიჭრას ტიპის ფორმები თანაბრად არის გავრცელებული. ყველა ზმნის მიმართ, რა თქმა უნდა, არ ითქმის ასე: თუ ერთ შემთხვევაში ჭარბობს ერთგვარი წარმოება, მეორე შემთხვევაში წარმოების სხვა ტიპია პრივილეგირებული. ფორმათა პარალელიზმი მაინც აშკარა ფაქტია.

V. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით უნიშნო (resp. - ი ელემენტიანი) აორისტის მქონე პრეფიქსიან ვნებითებში დასაშვებია ორივეგვარი წარმოება — ე სუფიქსიანი და - ა სუფიქსიანი; ოღონდ არა ერთსა და იმავე ზმნასთან. წესი ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

\* იქნეს ფორმა ნორმადა მიჩნეული უკანასკნელ ხანებში და ეს ფაქტი ისახულია სათანადო საცნობარო თუ სხვა ხსიათის ლიტერატურაში; მოუხედავად ამისა, იქნეს და იქნას ფორმათა პარალელურად არსებობა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ფაქტია.

1. უნიშნო (resp. -ი ელემენტიანი) აორისტის მქონე ის პრეფიქსიანი ვნებითები, რომელთა საყრდენ ფუძისეულ მორფემაში ე ხმოვანია გაუჩინარებული, II კავშირებითს უნდა იწარმოებდეს -ი სუფიქსით:

შეიქმნეს (ქენ), იქნეს (ქენ), იშვეს (შევ), დაიბრდლვნეს (ბრდლვონ), ჩაესკვნეს (სკვენ), დაემყნეს (მყენ), დაეხსნეს (ხსენ), გაიხრწნეს (ხრწენ), მიეძღვნეს (ძღვენ), დაიფხვნეს (ფხვენ), აღმოიფხვრეს (ფხვერ), გაიფრცვნეს (ფრცვენ), გაიჭრეს (ჭერ), გაიცრეს (ცერ), გაეთრეს (თერ)...

არალიტერატურულად უნდა ჩაითვალოს ამ ზმნათა -ა სუფიქსიანი ფორმები: შეიქმნას, იქნას, იშვას, დაიბრდლვნას, ჩაესკვნას, დაემყნას, დაეხსნას, გაიხრწნას, მიეძღვნას, დაიფხვნას, აღმოიფხვრას, გაიფრცვნას, გაიჭრას, გაიცრას, გაეთრას...

2. უნიშნო აორისტის მქონე ის პრეფიქსიანი ვნებითები, რომელთა საყრდენ ფუძისეულ მორფემაში არ ივარაუდება ე ხმოვნის არსებობა, II კავშირებითს -ა სუფიქსით უნდა იწარმოებდეს:

აღიძრას (ძარ), შემოერტყას (რტყ—რატყ), განერთხას (რთხ—რათხ), დაიფქვას (ფქვ), ჩაეცვას (ცვ—ცუ), დაერქვას (რქვ—რქუ), დაიწვას (წვ—წუ), დაებას (ბ), წაერთვას (რთვ—რთუ)...

არალიტერატურულად უნდა ჩაითვალოს ამ ზმნათა -ე სუფიქსიანი ფორმები: აღიძრეს, შემოერტყეს, განერთხეს, დაიფქვეს, ჩაეცვეს, დაერქვეს, დაიწვეს, დაებეს, წაერთვეს...